ბრძანება:**ბ47. 4723010001**

თარიღი:**10/01/2023**

ბრძანება N 3

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 30/06/2017 წლის N 108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N5 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ცვლილება შევიდეს ლანა პაიჭაძის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში, კადრების აღრიცხვის საკითხებში III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 30/06/2017 წლის N 108 ბრძანებაში.

1.1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლანა პაიჭაძის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საორგანიზაციო და საკადრო მომსახურების განყოფილებაში, კადრების აღრიცხვის საკითხებში III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

1.2. ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

1^1. 2023 წლის 01 იანვრიდან ლანა პაიჭაძე ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საორგანიზაციო და საკადრო მომსახურების განყოფილებაში, კადრების აღრიცხვის საკითხებში III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნულ პროფესიულ საჯარო მოხელედ.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 01 იანვრიდან.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი